**ხელშეკრულება №25**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**(მომსახურების შესყიდვა)**

ქ. ზუგდიდი 14 აგვისტო 2013 წელი

## I. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

## 2. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო (შემდგომში „შემსყიდველი") **(მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №87)** წარმოდგენილი ტერიტორიული ორგანოს უფროსის ირაკლი ქარჩავას სახით და მეორეს მხრივ ინდ.მეწარმე „ვაჟიკო ბერიშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი) **(მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №137)** წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის ვაჟიკო ბერიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებათა ფარგლებში სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის (ფორდ ისკეიპი) ტექნიკური მომსახურების **(CPV50112000** მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება**)** შესყიდვა.
3.2 გამარტივებული შესყიდვა, საფუძველი: საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 - პუნქტის "ხ" ქვეპუნქტი.

## 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

**4.1.** შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.
**4.2.** შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 170 (ასსამოცდაათი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

## 5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

**5.1.** მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

**6.1.** შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველის მიერ მოთხოვნის შესაბამისად.
**6.2.** შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ზუგდიდი.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

**7.1.** შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

**8.1.** მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში
**8.2** შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით
**8.3** ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება – ჩაბარების აქტისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის* შემდეგ არაუმეტეს-10 საბანკო დღის ვადაში.
**8.4** ანაზღაურების ადგილია ქალაქი ზუგდიდი.

## 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

**9.2.** შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

9.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

**9.4.** მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 10 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

**10.1.** მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
**10.2.** თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
**10.3.** ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
**10.4.** ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

## 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს უფროსი სპეციალისტი ლევან ჯიქონია.
15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**16.2.** არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
**16.3.** მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
**16.4.** ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
**16.5.** წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
**16.6** ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

### 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

| | |
|---|---|
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო - ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო<br>ს. კოდი 220364317<br>მისამართი: ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №87<br>სახელმწიფო ხაზინა<br><br>ტერიტორიული ორგანოს უფროსი<br>ირაკლი ქარჩავა | ინდ.მეწარმე „ვაჟიკო ბერიშვილი"<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 19001048427<br>მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №137<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>ა/ა GE07LB0112186659206000<br><br>ინდ.მეწარმე<br>ვაჟიკო ბერიშვილი |